ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3934442

გაცემის თარიღი: 27/04/2018 გაცნობის თარიღი: 28/04/2018

განცხადების ნომერი: AR1593480
შემოსვლის თარიღი: 17/04/2018
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.11.12.016.132
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 13
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 6409.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): მთვარისა ჭარხალაშვილი (P/N: 01015022089)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი**
  რეკონსტრუქცია
- **აბრებისა და რეკლამების განთავსება**
  რეკონსტრუქცია
- **შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება**
  რეკონსტრუქცია

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ეკა პეტრიაშვილი პ/ნ 01019068518
- მისამართი: თბილისი ი.გაგარინის ქ. N 14-16 კორ. 2 ბ. 16

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, #13–ში, სააქციო საზოგადოება ''ელეგანტის'' საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე ღიობის რეკონსტრუქციასა და სარეკლამო აბრის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

„მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან # 892018327699, 20/04/2018; ს.კ. # 01.11.12.016.132; საკადასტრო გეგმა; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, #13–ში, სააქციო საზოგადოება ''ელეგანტის'' საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე ღიობის რეკონსტრუქციასა და სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.